პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 1 22 0000118705

07/02/2022

„სსიპ კოლეჯი საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის „ცურვის ინსტრუქტორი“ პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ“ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2021 წლის 20 დეკემბრის №1392928 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. განხორციელდეს ცვლილება „სსიპ კოლეჯი საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის „ცურვის ინსტრუქტორი“ პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ“ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2021 წლის 20 დეკემბრის №1392928 გადაწყვეტილებაში, კერძოდ

ა) გადაწყვეტილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის „ცურვის ინსტრუქტორი“ პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ.

ბ) გადაწყვეტილების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად.

2. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2022 წლის 7 თებერვლის №118146 ოქმის 6.10 ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით. მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ქუჩულორია მარიამ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
ზაქარეიშვილი მარიკა